სლავომირ მროჟეკი

# ქვრივები

პოლონურიდან თარგმნა
ნათელა გავაშელმა

# ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ
ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ

*პირველი ქვრივი და მეორე ქვრივი ახალგაზრდები და მიმზიდველები უნდა იყვნენ. მესამე ქვრივს, ტანკენარს და კოხტას, ნარნარი და, ამასთანავე, ამაყი მოძრაობა უნდა შეეძლოს.*

*ყველა განსაზღვრება "მარცხნივ", "მარჯვნივ" მაყურებელთა დარბაზის მხრიდან იგულისხმება.*

*სცენაზე მოჩანს სამი კვადრატული მაგიდა - მარცხენა და მარჯვენა მხარეს მდგარ მაგიდებთან ორ-ორი სკამია, სცენის შუაგულში მდგართან კი - ერთი. მარცხენა მხარეს მდგარ მაგიდასთან პირველი ქვრივი ზის, მარჯვენა მხარეს კი - მეორე ქვრივი. თავზე შავი შლიაპები ახურავთ, სახეს შავი პირბადე უფარავთ, ტანთ მსუბუქი, ჭრელი კაბები და მსუბუქივე ფეხსაცმელი, შესაძლოა მაშიები აცვიათ. მეორე ქვრივის ფეხსაცმელი სკამთან, იატაკზე აწყვია, მოუჩანს შიშველი ფეხები.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - თქვენც ქვრივი ხართ?
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა თქმა უნდა.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - როდის გარდაიცვალა თქვენი მეუღლე?
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დღეს, დაახლოებით თორმეტზე.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ჩემიც დღეს, შუადღისას მოკვდა. ავად როდის გახდა?
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ამ დილას.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა სწრაფად გადის დრო, მაშასადამე, ნაშუადღევს დაასაფლავეთ?
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დაახლოებით ხუთზე.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ჩემიც ნაშუადღევს დავასაფლავე. ფეხებს ველ-არ ვგრძნობ.
*(პირველი ქვრივი ფეხსაცმელს დაბლა დაუხრელად, ფეხითვე იხდის)*
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - წელში გავწყდი, ოღონდაც ყველაფერი დროულად მომესწრო. ჩემს ქმარს თითიც არ გაუნძრევია, თუმცაღა მისი დასაფლავება იყო.
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ჩემიც ასეთია. უჩემოდ კაპიკია მისი ფასი.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ოჰ, ჩემო კარგო, რომ იცოდეთ, რას ვუძლებდი...
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მეც, ოღონდ მის სიცოცხლეში. დასაფლავებაზე ანგელოზს ჰგავდა.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მოგეჩვენათ.

მეორე ქვრივი - რას ამბობთ...

პირველი ქვრივი - საიდან უნდა იცოდეთ, სინამდვილეში რას სჩადიოდა.

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი, სინით მოაქვს ვარდისფერი სითხით სავსე ორი ჭიქა. ვარდისფერსითხიან ჭიქებს ქვრივების წინ დგამს და მარჯვენა მხარეს გადის.*

*ყოველ ჭიქაში გრძელი საწრუპავი ღეროა. ქვრივები ღეროს პირბადის ხვრელში გაატარებენ და ვარდისფერ სითხეს შლაპების მოუხდელად წრუპავენ.*

პირველი ქვრივი - თქვენი ქმარი რით მოკვდა?

მეორე ქვრივი - გაციებით.

პირველი ქვრივი - ალბათ გრილად იცვამდა.

მეორე ქვრივი - გრილი კი არა, საცვალიც კი შალისა ეცვა.

პირველი ქვრივი - ჩემი თბილ საცვალს არასოდეს იცვამდა. როგორ ვეხვეწებოდი ხოლმე!..

მეორე ქვრივი - არც ჩემს უნდოდა, მაგრამ არ ვეშვებოდი. შალისას ვაცმევინებდი ან ფლანელისას.

პირველი ქვრივი - მაშ, როგორღა გაცივდა?

მეორე ქვრივი - როგორ და შინიდან უშარფოდ გავიდა.

პირველი ქვრივი - რატომ გაუშვით?

მეორე ქვრივი - რომ მცოდნოდა გადიოდა, არ გავუშვები.

პირველი ქვრივი - არ იცოდით?

მეორე ქვრივი - დილაუთენია გავიდა. ჯერ კიდევ ვიწექი.

პირველი ქვრივი - რატომ არ ადექით?

მეორე ქვრივი - მეგონა, აბაზანაში შედიოდა.

პირველი ქვრივი - შარფი აბაზანაშიც შეეძლო შემოეხვია.

მეორე ქვრივი - შინ შუადღისას დაბრუნდა და თქვა, ფილტვები მჩხვლეტსო.

პირველი ქვრივი - ასპირინი თუ დაალევინეთ?

მეორე ქვრივი - მინდოდა მიმეცა, მაგრამ არ ქნა, ველარ მიშველისო.

პირველი ქვრივი - ეგენი სულ ასე ამბობენ.

მეორე ქვრივი - გაციების ჩხვლეტა კი არა, დაშნის ნახჩვლეტი მტკივაო, მარწმუნებდა.

პირველი ქვრივი - დაშნა რაღა შუაშია?

მეორე ქვრივი - მეც ეგ არ მიკვირს? ვუთხარი, უშარფოდ რომ გახვედი, იმიტომ გაცივდი-მეთქი. მან კი დაიჟინა, დაშნა მიხჩვლიტესო.

პირველი ქვრივი - დაშნა?

მეორე ქვრივი - ყოველ შემთხვევაში, რაღაც წვერწამახული.

პირველი ქვრივი - ვითომ რატომ უნდა ეჩხვლიტათ?

მეორე ქვრივი - მეც ეგ ვუთხარი. თუნდაც ეჩხვლიტათ, უშარფოდ რატომ გახვედი. შარფი რომ მოგეხვია, აღარ გაცივდებოდი. მითხრა, დუელი მქონდა და იქ მიჩხვლიტესო.



პირველი ქვრივი - და თქვენც დაუჯერეთ?

მეორე ქვრივი - არ დავუჯერე, მაგრამ ზედ წინკარში ჩაიკეცა.

პირველი ქვრივი - ლინოლეუმზე?

მეორე ქვრივი - ჩვენ იქ ნოხი გვაქვს.

პირველი ქვრივი - ლინოლეუმი უფრო იოლად ირეცხება.

მეორე ქვრივი - და უმალვე მოკვდა.

პირველი ქვრივი - თუ მაინცდამაინც დუელზე უშარფოდ უნდოდა წასვლა, შეეძლო ეს ნაშუადღევს ექნა, როცა უკვე თბილა.

მეორე ქვრივი - მართალია. ან შარფი წაელო.

პირველი ქვრივი - შარფი რომ წაელო, არ გაცივდებოდა.

მეორე ქვრივი - და არც მოკვდებოდა.

*პაუზა*

*ორივე ქვრივი ვარდისფერ სასმელს წრუპავს.*

*ოფიციანტი ავანსცენაზე მარჯვენა მხრიდან შემოდის.*

ოფიციანტი - ორივეს ვიცნობ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქ პირველად არ ვხედავ, თუმც მათ აქ პირველად ვხედავ ამ დროს და თანაც ერთად. ჩვეულებისამებრ ის... (*ოფიციანტი პირველ ქვრივზე მიუთითებს, ანუ მარცხნივ*) კაფეში მხოლოდ შუადღემდე შემოდის, ის კი... (*ოფიციანტი მეორე ქვრივისკენ, ანუ მარჯვნივ მიუთითებს*) მხოლოდ ნაშუადღევს. შავ სამოსში გამოწყობილებსაც პირველად ვხედავ. არც მარტოები მოსულან აქ, მათ ყოველთვის ახლდა თანამგზავრი... ვინ იყვნენ ისინი? ქმრები თუ საყვარლები? მოდით, განვსაჯოთ - მგლოვიარედ არიან, თუმც გაურკვეველია, ვის გლოვობენ, ქმრებს თუ საყვარლებს? ქმარზე მგლოვიარედ მყოფი შესაძლოა საყვარელთან გამოჩნდე, მაგრამ საყვარელზე მგლოვიარე ქმართან ვერ გამოჩნდები. აქედან გამომდინარეობს, რომ თავიანთ საყვარლებს ელოდებიან და არა ქმრებს. ჩვეულებისამებრ. ჩვეულებისამებრ? არა, არა ჩვეულებისამებრ, რამეთუ აქამდე ქალბატონები ბატონებს არასოდეს დალოდებიან, პირიქით, მამაკაცები ელოდებოდნენ ხოლმე ქალებს. მათი თანამგზავრი მამაკაცები ყოველთვის პუნქტუალურები იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით ქალბატონებზე.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

მეორე ქვრივი - თქვენი ქმარი რით მოკვდა?

პირველი ქვრივი - ყაბზობით.

მეორე ქვრივი - საჭმელს სახლში არ ამზადებთ?

პირველი ქვრივი - რასაკვირველია, ვამზადებ. რა გგონიათ, რესტორნებში სიარულის ნებას დავრთავდი?

მეორე ქვრივი - მაშ, რით უნდა მოწამლულიყო?

პირველი ქვრივი - აბა, მე რა ვიცი. როგორც ყოველთვის, საუზმე მოვუმზადე, მას კი პირიც არაფრისთვის დაუკარებია.

მეორე ქვრივი - და შინიდან დაუნაყრებელი გაუშვით?

პირველი ქვრივი - მე არ გამიშვია, თავად წავიდა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - თუ არ გაგიშვიათ, როგორღა წავიდა?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - აივნიდან გადავიდა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - და არაფერი მოიტეხა?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ვერც მოიტეხდა, რადგან პირველ სართულზე ვცხოვრობთ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მეორე ან მესამე სართული ყველაზე უკეთესია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - შინ თორმეტ საათზე დაბრუნდა და მითხრა, მუცელი მტკივაო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ალბათ ქალაქში შეჭამა რამე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ალბათ. სასაქმებელი დალიე-მეთქი, ვუთხარი, ის კი ლინოლეუმზე გაიშხლართა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ასე კიდევ გაცივდებოდა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ზუსტად ასევე ვუთხარი, ლინოლეუმზე არ დაწვე, თორემ გაცივდები. თუ მაინცდამაინც დაწოლა გინდა, ტახტი აგერ არის. იმან კი "Adieu" - მომახალა...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რაო?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - "Adieu" - ე.ი. ვკვდებიო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - თქვენ რა უპასუხეთ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა თქმა უნდა, ვუთხარი, კვდები, რადგან სადილზე შინ არ ჭამე, ქალაქში რომ არ გეჭამა, მშვენივრად იქნებოდი მეთქი. მითხრა, საჭმლის კი არა, დუელის ბრალიაო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - აი, ხომ ხედავთ, მომიზეზებაც ერთნაირი იციან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - თუ ასე ძალიან უნდოდა, გასულიყო დუელში, მაგრამ ქალაქში არ უნდა ეჭამა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა თქმა უნდა, არ უნდა ეჭამა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ჭამა შინაც შეეძლო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - შინ რომ ეჭამა, არც ავად გახდებოდა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - და არც მოკვდებოდა.

*პირველი ქვრივი და მეორე ქვრივი ვარდისფერ სასმელს წრუპავენ.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ვისთან ჰქონდა თქვენს ქმარს დუელი?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მე რა ვიცი. არ უთქვამს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ალბათ ვიღაც ძმაკაცთან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ალბათ, ყველა უსიამოვნება ხომ ძმაკაცების გამო ხდება. თქვენს ქმარს?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ეგ რომ ვიცოდე!..

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - აი, ხომ ხედავთ, რამდენ რამეს გვიმალავენ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დუელში იბრძვიან და იბრძოლონ, მაგრამ გვითხრან მაინც.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დუელში თუ გადიან, გაგვაგებინონ მაინც.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ან სულაც ნუ გავლენ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ნურც გაგვაგებინებენ და ნურც გავლენ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ე, მაგას ნუ იტყვით. უმჯობესია გაგვაგებინონ და



დუელში ნუ გავლენ.

*შემოდის ოფიციანტი და სინით შემოაქვს სამი წყლიანი გრაფინი, რომლებსაც მაგიდებზე დგამს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - გთხოვთ, შოკოლადის ტორტი მომიტანეთ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მეც.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - უკრემო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მე კრემიანი.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ვინმეს ელოდებით?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ბიძაშვილს ველოდები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რაღაც არ ჩანს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - თქვენ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დისშვილს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რაღაც იგვიანებს.

*ოფიციანტი ავანსცენაზე მარჯვენა მხრიდან შემოდის.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მოდი, ჩავხედოთ მათი მუდმივი თანამგზავრების მიერ დატოვებულ ბარათებს. თანაც ორივემ მთხოვა მათი სასურველი ქალბატონებისთვის გადაცემა. აი, ეს ბარათი განკუთვნილია ამისათვის...

*მეორე ქვრივისკენ, ანუ მარჯვნივ მიუთითებს და ბარათის კითხვას იწყებს.*

ოფიციანტი: "ჩემო ძვირფასო ლოტოსის ყვავილო, ერთხელაც მაპატიე, შეხვედრა საღამოს რომ დაგითქვი და არა ჩვეულებისამებრ, ნაშუადღევამდე"... რას ვამბობდი? - "...და არა ჩვეულებისამებრ ნაშუადღევამდე. დილით დუელში მომიწევს ბრძოლა ვინმე ტრისტანთან და თითქმის შუადღემდე არ მეცლება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ დღის მეორე ნახევარში საკუთარ დასაფლავებაზე მომიწიოს ყოფნა. ასე რომ, შეხვედრას ან მხოლოდ საღამოს მოვახერხებთ, ან სულაც ვეღარასოდეს. თუ ვეღარასოდეს - გახსოვდეს, რომ შენს გარდა არასოდეს არავინ მყვარებია. შენი რომეო". საინტერესოა, საინტერესო. მოდით, ახლა მეორე ბარათი წავიკითხოთ, ამ ქალბატონისთვის რომ არის განკუთვნილი...

*ოფიციანტი პირველი ქვრივისკენ, ანუ მარცხნივ მიუთითებს და კითხულობს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - "სარონის ვარდო, მესმის, რომ ნაშუადღევს შეხვედრის ნაცვლად, საღამოხანს შეხვედრა, შესაძლოა, ხელს არ გაძლევდეს. უნდა გითხრა, რომ ნაშუადღევს შენთან შეხვედრას ვერ შევძლებ, რადგან ან მკვდარი ვიქნები, ან დაჭრილი ანდა სულაც ნერვებაშლილი. ეს იმიტომ, რომ შუადღემდე ვინმე რომეოს უნდა შევხვდე დუელში. თუ ჩემი დასაფლავება ნაშუადღევს ჩატარდება, ვერც საღამოს შეგხვდები. ასეთ შემთხვევაში, იცოდე, რომ ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსება იყავი. შენი ტრისტანი". ესეც საინტერესოა, თუმც თითქმის იგივეს გამეორებაა.

*ოფიციანტი ქვრივებს თითო ბარათს გადასცემს.*

პირველი ქვრივი - მწერს, რომ მხოლოდ მე ვუყვარდი.
მეორე ქვრივი - დისშვილი?
პირველი ქვრივი - არა, ჩემი ქმარი რომეო. ოღონდ ვერ გამიგია, რატომ მწერს, რომ საღამოს შეხვედრაზე შევთანხმდით. არ მახსოვს, საერთოდ შემთანხმებოდა.
მეორე ქვრივი - ჩემმაც რაღაც აურია. არაფერი არ ემთხვევა, გარდა ამისა - "ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსება იყავი".
ოფიციანტი - ერთი წუთით!.. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ბარათები აირია.
*ოფიციანტმა ბარათები შესაბამისად შეცვალა.*
ოფიციანტი - Quel metie!
*ოფიციანტი მარჯვენივ გადის.*
*ქვრივები ბარათებს კითხულობენ.*
პირველი ქვრივი - მაპატიეთ, მაგრამ ახლა შეიძლება გულშემოყრილი დავეცე.
მეორე ქვრ...ი - ნუ გერიდებათ, უკეთესად არც მე ვარ.
*პირველი ქვრივი გულშემოყრილი ეცემა იატაკზე. მეორე ქვრივიც.*
*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი და შემოაქვს სინზე დაწყობილი ორი თეფში - ერთზე უკრემო შოკოლადის ტორტია, მეორეზე - შოკოლადის, კრემიანი. ოფიციანტი შოკოლადის უკრემო ტორტიან თეფშს მარჯვენა მაგიდაზე დებს, შემდეგ მიდის მარცხნივ და შოკოლადის კრემიან ტორტს მარცხენა მაგიდაზე დებს.*
*ოფიციანტმა პირველი ქვრივი იატაკიდან წამოაყენა, სკამზე დასვა, შლაპა მოხადა, ლოყებზე ხელი შემოარტყა, გონს მოჰყავს. პირველი ქვრივი გამოფხიზლდა.*
პირველი ქვრივი - მე ხომ უკრემო გთხოვეთ.
*ოფიციანტმა პირველ ქვრივს ხელები იღლიებქვეშ ამოსდო, მარცხნივ მდგარ მაგიდასთან მიიყვანა და სკამზე დასვა. პირველი ქვრივი უკრემო ტორტის ჭამას შეუდგა.*
*ოფიციანტმა მეორე ქვრივი იატაკიდან წამოაყენა, მარცხნივ გაათრია, სკამზე დასვა. შლაპა მოხადა, ლოყებზე ხელი შემოარტყა, გონს მოჰყავს. მეორე ქვრივი გამოფხიზლდა და კრემიანი ტორტის ჭამას შეუდგა. ოფიციანტი მარჯვენივ გადის.*
მეორე ქვრივი - რას მომშტერებიხართ...
პირველი ქვრივი - საიდანღაც მეცნობით.
მეორე ქვრივი - საიდან?
პირველი ქვრივი - ფოტოსურათიდან...
მეორე ქვრივი - რომელი ფოტოსურათიდან.
პირველი ქვრივი - იმ ფოტოსურათიდან, რომელიც ქმრის დასაფლავების შემდეგ ვიპოვე.
მეორე ქვრივი - რაო, სად ვიპოვეო?
პირველი ქვრივი - უჯრაში.



მეორე ქვრივი - რომელ უჯრაში?
პირველი ქვრივი - რომელსაც ჩემი ქმარი გასაღებით კეტავდა.
მეორე ქვრივი - გასაღები სადღა იპოვეთ?
პირველი ქვრივი - აკვარიუმში.
მეორე ქვრივი - სად?
პირველი ქვრივი - აკვარიუმში. ჩემი ქმარი გასაღებს წყალმცენარეებში მალავდა.
მეორე ქვრივი - რატომ მოძებნეთ?
პირველი ქვრივი - ეგონა, ვერ ვიპოვიდი.
მეორე ქვრივი - არ გრცხვენიათ, დასაფლავებისთანავე რომ ეცით?
პირველი ქვრივი - აბა, თევზებს ჭამა არ უნდოდათ? სანამ ცოცხალი იყო, თევზებს ჩემი ქმარი აჭმევდა.
მეორე ქვრივი - თევზებს შეეძლოთ ცოტა მოეცადათ, არაფერი დაემართებოდათ. აკვარიუმში კი იმიტომ ჩაიხედეთ, რომ გასაღებს ეძებდით.
პირველი ქვრივი - მართლა დაბერებულხართ და არც ეგ ვარცხნილობა გიხდებათ. იმ სურათზე უკეთ გამოიყურებით.
მეორე ქვრივი - საქმე საქმეზე თუ მიდგა, თქვენც შეცვლილხართ.
პირველი ქვრივი - საიდან იცით?
მეორე ქვრივი - სურათით, თუმც ძლივს გიცანით. ძალიან გასუქებულხართ.
პირველი ქვრივი - რომელი სურათით...
მეორე ქვრივი - იმ სურათით, ჩემს ქმარს ჯიბეში რომ ედო.
პირველი ქვრივი - გულთან ახლოს!
მეორე ქვრივი - გულთან ახლოს არა... გვერდითა ჯიბეში.
პირველი ქვრივი - ყოველ შემთხვევაში, უჯრაში გამოკეტილი მაინც არ ვყავდი.
მეორე ქვრივი - კიდევ რას იტყვით?
პირველი ქვრივი - იმას, რომ ყველაფერი თქვენი ბრალია.
მეორე ქვრივი - ჩემი ბრალია.
პირველი ქვრივი - მართალია! ქმარს ჯიბეში არ უნდა ჩაძრომოდით.
მეორე ქვრივი - როგორ თუ არა. არც გარეცხვამდე?!
პირველი ქვრივი - დაგესაფლავებინათ და მერე გაგერეცხათ.
მეორე ქვრივი - როდის? ვერ ვასწრები, საქმე თავსაყრელად მქონდა. უცებ ვერ გიცანით, რადგან იმაზე ბევრად მსუქანი ხართ, ვიდრე სურათზე. ათი კილო მაინც გექნებათ ზედმეტი.
პირველი ქვრივი - გშურთ? ალბათ სიხარულით აღარ იქნებოდით, თუნდ ასი გრამი რომ მოგემატებინათ.
მეორე ქვრივი - ახლა კი ვხვდები, უკრემოს რატომ ჭამთ. მე ყველაფრის ჭამა შემიძლია, რადგან გასუქების არ მეშინია.
პირველი ქვრივი - მოგიხდებათ, მოგიხდებათ, თუნდაც ნაოჭების

გამო. არ ვიცოდი, ჩემს ქმარს ასეთი ნაოჭებიანი თუ უყვარდა.

მეორე ქვრივი - უყვარდა, უყვარდა და მერე როგორ.

პირველი ქვრივი - სამაგიეროდ, შენს ქმარს არც ისე...

მეორე ქვრივი - არა? მაშ, ჩემს გამო დუელში რატომ გავიდა?

პირველი ქვრივი - ვინ გავიდა დუელში?

მეორე ქვრივი - ჩემი ქმარი თქვენს ქმარს შეხვდა დუელში, რადგან ეჭვიანობდა.

პირველი ქვრივი - პირიქით, ძვირფასო, ჩემი ქმარი შეხვდა დუელში თქვენს ქმარს.

მეორე ქვრივი - ძალიან საინტერესოა, თქვენი ქმარი რატომ უნდა შეხვედროდა ჩემს ქმარს დუელში.

პირველი ქვრივი - იმიტომ, რომ ჩემზე ეჭვიანობდა.

მეორე ქვრივი - ვინ?

პირველი ქვრივი - ჩემი ქმარი.

მეორე ქვრივი - თქვენი ქმარი თქვენზე კი არა, ჩემზე ეჭვიანობდა.

პირველი ქვრივი - ჩემი ქმარი? თქვენზე?! ალბათ ხუმრობთ.

მეორე ქვრივი - დღესავით ნათელია, რომ თქვენი ქმარი ჩემზე ეჭვიანობდა. სხვაგვარად ჩემს ქმარს დუელში არ შეხვდებოდა.

პირველი ქვრივი - ჩემი ქმარი კი არ შეხვედრია დუელში თქვენს ქმარს, პირიქით, თქვენი ქმარი შეხვდა ჩემსას.

მეორე ქვრივი - ჰო? ვითომ რატომ?

პირველი ქვრივი - იმიტომ, რომ თქვენი ქმარი ჩემზე ეჭვიანობდა.

მეორე ქვრივი - თქვენი პირით თქვით, აღიარეთ, რომ თქვენი ქმარი შეხვდა დუელში ჩემს ქმარს და არა ჩემი - თქვენსას.

*ავანსცენაზე ოფიციანტი შემოდის მარჯვენა მხრიდან.*

ოფიციანტი - ეს საზარელი ერთფეროვნება გაუსაძლისია.

*მეორე ქვრივს მიუბრუნდა.*

ოფიციანტი - მინდა საქმეს ნათელი მოვფინო. თქვენს ქმარს დუელში მე შევხვდი.

მეორე ქვრივი - მიზეზი?

ოფიციანტი - ო, ისე... უბრალოდ. ორმხრივი ანტიპათიის გამო.

პირველი ქვრივი - მაშინ ჩემი ქმარი ვიღას შეხვდა.

ოფიციანტი - არ ვიცი.

მეორე ქვრივი - სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ და შარლოტკა მომიტანე.

პირველი ქვრივი - მე კი ფუნჩულა.

ოფიციანტი - კი ბატონო, მაპატიეთ.

*ოფიციანტი მარჯვენისკენ მიდის.*

ოფიციანტი - დიდი წარმატების იმედი არ მქონია, მაგრამ რაც შემეძლო, გავაკეთე.

*ოფიციანტი მარჯვენივ გადის.*

მეორე ქვრივი - ეს რა გამიკეთეს? (ტირის)



პირველი ქვრივი - (ტირის) მეც!

მეორე ქვრივი - (ტირის) არც ერთს ამას არ ვაპატიებ.

პირველი ქვრივი - არც მე.

მეორე ქვრივი - დუელი არ ეყოფოდათ, ერთმანეთი რომ არ მოეკლათ!

პირველი ქვრივი - შეეძლოთ ერთმანეთი მოეკლათ, მაგრამ ასე უცებ ეს დუელი რა საჭირო იყო.

მეორე ქვრივი - ისიც არ ვიცოდი, ერთმანეთს თუ იცნობდნენ.

პირველი ქვრივი - შეიძლება არც იცნობდნენ.

მეორე ქვრივი - თუ არ იცნობდნენ, დუელსაც ვერ გამართავდნენ.

პირველი ქვრივი - თუ იცნობდნენ, შეეძლოთ ეგ ჩვენთვისაც ეთქვათ.

მეორე ქვრივი - ან დუელში არ გაეწვიათ ერთმანეთი.

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის, შარლოტკა და ფუნჩულა შემოაქვს. ქვრივები ჭამას შეუდგნენ.*

პირველი ქვრივი - თქვენს ქმარს საიდან უნდა ცნობოდა ჩემი ქმარი?

მეორე ქვრივი - თქვენსას ჩემი საიდან?

პირველი ქვრივი - ტრისტანისთვის რომეოზე თუ გითქვამთ რამე?

მეორე ქვრითი - ღმერთმა დამიფაროს. ვინ გგონივართ? ეგებ თქვენ თვითონ უთხარით რამე რომეოს ტრისტანზე.

პირველი ქვრივი - მშვენივრად იცით, ქმრებთან ასეთ რამეებზე რომ არ ლაპარაკობენ.

მეორე ქვრივი - არც ტრისტანისთვის გითქვამთ რაიმე რომეოზე?

პირველი ქვრივი - ჩემს ქმარზე რატომ უნდა მეთქვა რამე? რომეოს თქვენ უფრო ეტყოდით რამეს ტრისტანზე.

მეორე ქვრივი - მე? საიდან? თქვენზე სულელი არ ვარ.

პირველი ქვრივი - მაშ, რომეოს საიდან უნდა სცნობოდა ტრისტანი?

მეორე ქვრივი - ტრისტანს რომეო?

პაუზა

მეორე ქვრივი - იცით, რას გეტყვით, თუ რომეო ტრისტანს არ იცნობდა...

პირველი ქვრივი - ტრისტანი კი რომეოს...

მეორე ქვრივი - რამდენადაც ტრისტანი ჩემი ქმარი იყო...

პირველი ქვრივი - ხოლო ტრისტანს არ შეეძლო რომეო ცნობოდა, რადგან რომეო ჩემი იყო...

მეორე ქვრივი - და რომეოს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ თქვენ და ტრისტანი ერთმანეთს ხვდებოდით...

პირველი ქვრივი - ხოლო ტრისტანმა არ იცოდა, რომ თქვენ და რომეო ერთმანეთს ხვდებოდით...

მეორე ქვრივი - ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ერთმანეთი საზღვარ-

გარეთ გაიცნეს.

პირველი ქვრივი - როგორ?

მეორე ქვრივი - მაგას რა ცოდნა უნდა! მაგათ ორივეს კიდევ ვიღაც მესამე ჰყავდათ.

*მარცხენა მხრიდან შემოდის მესამე ქვრივი - ტანმაღალს, გრძელსახელოებიანი, გულდახურული, გრძელი, შავი კაბა აცვია. შავ ხელთათმანებიანს თავზე ახურავს შავ-მონაცრისფრო ფრთებით გაწყობილი დიდი შავი შლაპა. პირველი და მეორე ქვრივის პირბადეებზე გრძელი შავი პირბადე სახეს მთლიანად უფარავს.*

*მესამე ქვრივი შუაში მდგარ მაგიდასთან ჯდება.*

პირველი ქვრივი - როგორ გგონიათ, ეგაა?

მეორე ქვრივი - ეგ არის.

*პირველი და მეორე ქვრივი თავიანთ სკამებს ორ გვერდითა მაგიდებს შორის ისე დგამენ, რომ მესამე ქვრივი კარგად მოჩანდეს დარბაზიდან. იქვე სხდებიან.*

პირველი ქვრივი - ის რომ არ იყოს?

მეორე ქვრივი - რასაკვირველია, ისაა. ვერ ხედავთ, ძაძები რომ აცვია?

პირველი ქვრივი - ჰო, აცვია, მაგრამ ვის გამო?

მეორე ქვრივი - ტრისტანისა და რომეოს გამო.

პირველი ქვრივი - რომეოსა და ტრისტანის გამო?

მეორე ქვრივი - ჰო, ჩემო ძვირფასო, ორივეს გამო. ორივეს საერთო საყვარელი იყო.

*მარჯვნიდან ოფიციანტი შემოდის და მესამე ქვრივთან მიდის.*

ოფიციანტი *(მესამე ქვრივს)* - რით შემიძლია გემსახუროთ?

*მესამე ქვრივი არ პასუხობს.*

ოფიციანტი - გვაქვს კრემიანი და უკრემო ტორტი, შარლოტკა, ფუნჩულა...

*მესამე ქვრივი არ პასუხობს. ერთხანს შეყოვნებული ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

პირველი ქვრივი - საინტერესოა, როგორ გამოიყურება.

მეორე ქვრივი - ალბათ თქვენზე ლამაზია.

პირველი ქვრივი - ვითომ რატომ?

მეორე ქვრივი - თქვენზე ლამაზი რომ არ იყოს, თქვენი ქმარი არ შეიყვარებდა.

პირველი ქვრივი - თქვენი ქმარი კი შეიყვარებდა, თქვენზე ულამაზო რომ იყოს?

მეორე ქვრივი - იცით რას გეტყვით? მე მგონია, ჩვენ ორივეს, ერთად აღებულს გვჯობია.

პირველი ქვრივი - მაგას რას ამბობთ?

მეორე ქვრივი - მაშ, ორივეს როგორ შეუყვარდა?

პირველი ქვრივი - იქნებ სულაც არ ყვარებიათ?



მეორე ქვრივი - რომ არ ყვარებოდათ, მისი გულისათვის ერთმანეთს დუელში არ გაიწვევდნენ.

*პაუზა*

პირველი ქვრივი - ეჭვადაც არ მომსვლია, რომეო თუ მღალატობდა, შინ არაფერი აკლდა.

მეორე ქვრივი - არც კარში.

პირველი ქვრივი - რა თქმა უნდა. ის მესამე რაღად უნდოდა.

მეორე ქვრივი - არც ტრისტანი იყო მასზე უკეთესი.

პირველი ქვრივი - ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ!

მეორე ქვრივი - ორივე იმ... იმასთან გვღალატობდა...

პირველი ქვრივი - იმ ბოზთან!

მეორე ქვრივი - ზუსტი სახელია.

*პაუზა*

პირველი ქვრივი - ნეტა დაგვანახა, როგორია. მისი სურათი ხომ არ გაქვთ?

მეორე ქვრივი - არა, მხოლოდ ის ვიპოვე, რომელიც თქვენც იცით.

პირველი ქვრივი - მეც მხოლოდ ის ვიპოვე, თქვენი.

მეორე ქვრივი - მისი სურათი ჩვენს სურათებზე უფრო კარგად დამალეს.

პირველი ქვრივი - არა, ნამდვილად მაქვს უფლება ვიცოდე, როგორია.

მეორე ქვრივი - რა თქმა უნდა, გაქვთ.

პირველი ქვრივი - თქვენც გაქვთ უფლება.

მეორე ქვრივი - დიახაც!

პირველი ქვრივი - ორივეს გვაქვს უფლება!

მეორე ქვრივი - დიახ - ორივეს! ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება იცოდეს, ვისთან ღალატობდა ქმარი!

*მეორე ქვრივი დგება.*

მეორე ქვრივი - ყველაფერს პირში მივახლი.

*პირველი ქვრივიც დგება.*

პირველი ქვრივი - მეც.

მეორე ქვრივი - ორივეს. მაგას ვაჩვენებ, ვინ არის აქ მთავარი.

პირველი ქვრივი - დიახ, დიახ, ვაჩვენებთ!

*ფეხის წვერებზე აწეული პირველი და მეორე ქვრივი მესამე ქვრივისკენ მიიპარებიან.*

*მეორე ქვრივი მესამე ქვრივის მარჯვენა მხარეს დგება, პირველი ქვრივი მესამე ქვრივის მარცხენა მხარეს.*

*მესამე ქვრივი სცენაზე შემოსვლისა და მაგიდასთან დაჯდომის შემდეგ არც განძრეულა.*

*მეორე ქვრივმა მესამე ქვრივის პირბადის კიდე ასწია და მესამე ქვრივის სახეს შეხედა.*

*თავის ქალა ანუ სიკვდილი გამოჩნდა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - იცით, რა...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ასეთ რამეს არ მოველოდი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ყველაფრის გაგება შემიძლია, მაგრამ ამნაირის შეყვარება...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - სისაძაგლეა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა უნდა ვუთხრათ?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ამასთან სალაპარაკო რა გვაქვს.

*მეორე ქვრივი პირბადეს დაბლა სწევს და მესამე ქვრივს სახეს უფარავს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - ახლა რა უნდა ვქნათ?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - არაფერი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - არაფერი?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - აქედან წავიდეთ, ძვირფასო. აქ ჩვენი ადგილი არ არის.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დიახ, ძვირფასო, წავიდეთ, ასეთ საზოგადოებაში რა გვესაქმება.

*პირველი ქვრივი და მეორე ქვრივი შუა მაგიდას სცილდებიან. ფეხსაცმელს იცვამენ და შლაპებს იხურავენ.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - რა უცნაურები არიან ეს მამაკაცები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - დიახ, ძალიან. ვერასოდეს მიხვდები, რა მოეწონებათ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - არა, ასეთის შეყვარება...

*პირველი ქვრივი და მეორე ქვრივი ერთმანეთს ეხვევიან, მარცხნივ მიდიან.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - აზრზე არ ვარ, მასში რა ნახეს...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ - მართლაც და...

*პირველი ქვრივი და მეორე ქვრივი მარცხნივ გადიან.*

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის. ხელში ცარიელი სინი უკავია. გვერდითა მაგიდებიდან გრაფინებს იღებს და სინზე აწყობს. მესამე ქვრივთან მიდის.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - გვაქვს აგრეთვე მოხარშულკრემიანი შესანიშნავი ნამცხვარი.

*მესამე ქვრივი არ პასუხობს. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*დაბნელება. პაუზა. სიბნელეში შუშაზე ლითონის კაკუნი გაისმის.*

*შუქი.*

*შუა მაგიდას უზის კაცი - პირველი კაცი - აცვია სპორტული, მოკლესახელოიანი მაისური, ე.წ. T-Shint, ჯინსი, აჭიმები; ფეხზე აცვია მაღალყელიანი ბათინკები. ფეხები მაგიდაზე დაუწყვია, ხელები - კეფის ქვეშ.*

*პაუზა.*

*პირველი კაცი წინ გადაიხრება და გრაფინზე ლითონის რაიმე ნივთს - ყალიონის საჩხრეკს, ვთქვათ, ფრჩხილების ქლიბს, ალუმინის სავარცხელს, ჯაყვას და ა.შ. უკაკუნებს. მერე ხელებს ისევ თავქვეშ იწყობს, წელანდელ პოზას ღებულობს და გაუნძრევლად ზის.*

*პაუზა.*

*პირველი კაცი წინ გადაიხრება და ა.შ. გრაფინზე უფრო ძლიერად აკაკუნებს. მერე ისევ და ა.შ.*

*პაუზა.*

*პირველი კაცი წინ გადაიხრება. გრაფინზე კიდევ უფრო ძლიერად აკაკუნებს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ოფიციანტო!

*მარჯვნიდან ოფიციანტი შემოდის.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ლუდი!

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - რა გნებავთ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(წარმოთქვამს დამარცვლით, ხმადაბლა, ძალზე მკვეთრად და ხაზგასმით)* ლუ-დი!

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ეს შეუძლებელია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ლუდი არ შეიძლება?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ლუდი შეიძლება, მაგრამ შეუძლებელია მე მოგართვათ ლუდი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ვითომ რატომ არის შეუძლებელი?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არა, შესაძლებელია, მაგრამ არა ამ მაგიდასთან.

*პირველი კაცი მაგიდიდან ფეხებს ჩამოაწყობს, მაგიდას ათვალიერებს, მაგიდის ქვეშ იხედება, ამოწმებს, ხომ არ ყანყალებს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - მაგიდას რა სჭირს?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მაგიდა წესრიგშია, მაგრამ თქვენ აქ არ უნდა დაჯდეთ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - არა?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - რატომ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - იმიტომ, რომ დაჯავშნულია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ვისთვის.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მაგის გამხელა არ მსურს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ვინმე მნიშვნელოვანისთვის?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ასე მიმაჩნია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ჩემზე მნიშვნელოვანისთვის?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ასე მგონია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ჩემთვის ასეთები არ არსებობენ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მაგრამ არა ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ჩემთვის არც განსაკუთრებული შემთხვევები არსებობს.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - და მაინც, უმორჩილესად გთხოვთ, გადაჯდეთ...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(მაგიდაზე მუშტს დაარტყამს)* ლუდი!

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მესმის.

*ოფიციანტი მარჯვნისკენ მიდის, ჩერდება, უკან ბრუნდება.*

ოფიციანტი - შემიძლია, რაღაც გითხრათ? სრულიად საიდუმლოდ!

პირველი კაცი - მითხარით.

ოფიციანტი - ჩემთვის სულერთია, სად დაჯდებით. მაგრამ ეგ მაგიდა, სადაც თქვენ ზიხართ...

*ოფიციანტი აქეთ-იქით იყურება, თითქოს ეშინია, არავინ უსმენდეს. პირველ კაცს უახლოვდება. მისკენ იხრება და თითქმის ჩურჩულით ეუბნება.*

ოფიციანტი - გულახდილად გირჩევთ, გადაჯდეთ.

პირველი კაცი - რატომ?

ოფიციანტი - *(კიდევ და კიდევ უფრო დაბლა დახრილი გულმოდგინედ უხსნის)* ეს ადგილი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა, ძალზე სახიფათო.

პირველი კაცი - რა სისულელეა.

ოფიციანტი - როგორც გენებოთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ გაგაფრთხილეთ.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*პირველი კაცი საათს დაჰყურებს, დგება, მარცხნივ მიდის, კიდეში ჩერდება და საზოგადოებრივ ტელეფონზე დარეკვის პანტომიმურ სცენას თამაშობს. მონეტის ამოსაღებად მარჯვენა ხელს ჯიბეში იყოფს, პოულობს, მარცხენა ხელს ყურმილის ასაღებად იწვდის, პოულობს ყურმილს, მონეტას აპარატში აგდებს, ყურმილი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადააქვს, ყურზე იდებს, იცდის, ყურმილს კიდებს, მარჯვენა ხელით ჯიბეში მონეტას ეძებს, პოულობს, მარცხენა ხელით... და ა.შ. ასე რამდენჯერმე იმეორებს.*

*მარცხენა მხრიდან შემოდის მეორე კაცი - აცვია თეთრი ბატისტის ჟაბოიანი, გრძელსახელოიანი მოხდენილი, არა პიჯაკქვეშ ჩასაცმელი პერანგი; პატარა ჯიბიანი ჟილეტი. ჯიბეში კოხტად დაკეცილი, თეთრი აბრეშუმის ცხვირსახოცის კუთხეები მოუჩანს. ღია კრემისფერ შარვალზე, XIX საუკუნის 30-იანი წლების მოდის მიხედვით, პაჭანაკები დაუყვება. იგი შუა მაგიდისკენ მიემართება და ჩამოჯდომას აპირებს.*

*მარჯვნიდან ოფიციანტი შემოდის და ლანგარზე დაწყობილი ლუდის ბოთლი და კათხა შემოაქვს.*

*ოფიციანტი (დაინახავს თუ არა, რომ მეორე კაცი შუაში მდგარ მაგიდასთან აპირებს დაჯდომას).* ოი, არა! ესეც იქ არ ჯდება?

მეორე კაცი - რაო?

ოფიციანტი - იმის თქმას ვაპირებდი, კი ბატონო, დაჯექით, მაგრამ არა ამ მაგიდასთან.

მეორე კაცი - შეკვეთილია?

ოფიციანტი - და მერე როგორ!

მეორე კაცი - სამწუხაროა.

ოფიციანტი - *(მარჯვენა მაგიდისაკენ უთითებს)* შეგიძლიათ იქ დაჯ-



დეთ *(მერე მარცხენა მაგიდისაკენ უთითებს)* ან იქ. უფრო კი იქ გირჩევთ.

*ოფიციანტი მარჯვენა მაგიდასთან მიდის, სკამს გამოსწევს და კაცს დაჯდომას სთავაზობს.*

მეორე კაცი - არა.

ოფიციანტი - სოლიდური ავეჯია. ნამდვილი კავკასიური კაკლის.

მეორე კაცი - ეჭვიც არ მეპარება.

ოფიციანტი - *(მაგიდას ხელს დაარტყამს)* ყველაფერს გაუძლებს.

მეორე კაცი - ნამდვილად.

ოფიციანტი - ასეთი ნამუშევარი სადმე გინახავთ?

მეორე კაცი - მართლაც.

ოფიციანტი - უმაღლესი ხარისხის მაგიდებია. გინდათ აქ დაჯექით, გინდათ - იქ, ორივე ერთნაირია.

მეორე კაცი - ამიტომაცაა, რომ არც ერთი არ მეხატება გულზე.

ოფიციანტი - შემიძლია გადასაფარებელი მოვიტანო.

მეორე კაცი - არამატერიალური ღირებულებებიც არსებობს.

ოფიციანტი - ეგებ ბალში გნებავთ?

მეორე კაცი - არამატერიალური, ანუ ისეთები, რასაც მატერიასთან არ აქვს კავშირი.

ოფიციანტი - აბა რასთან?

მეორე კაცი - ვთქვათ, გეომეტრიასთან. არც ერთი ეს მაგიდა ცენტრალური არ არის.

ოფიციანტი - ცენტრალური?

მეორე კაცი - ცენტრალური, ანუ ცენტრალურად განლაგებული.

ოფიციანტი - როგორ?

მეორე კაცი - ცენტრალურად ანუ შუაგულში, ცენტრში, და სხვაგვარად არც შეიძლება, რადგანაც ეს ორი მაგიდა ერთნაირად არის განლაგებული მესამისადმი, რომელსაც მათთან მიმართებაში ცენტრალური პოზიცია უკავია. ამდენად, ეს ორი მაგიდა ერთმანეთს შეცვლის, ამას კი, მესამეს, ვერც ერთი ვერ შეცვლის. ეს მაგიდები მასთან მიმართებაში - გვერდითებია.

ოფიციანტი - მერე ამაში ცუდი რა არის?

მეორე კაცი - გვერდითები, ანუ პერიფერიულები. მარგინალური, გესმით?

ოფიციანტი - *(არცთუ თავდაჯერებით)* ჰოო...

მეორე კაცი - ცენტრი ერთადერთია. და ერთადერთი ცენტრალური მაგიდა ის არის *(მეორე კაცი ცენტრში მდგარი მაგიდისკენ მიუთითებს).*

ოფიციანტი - რა თქმა უნდა.

მეორე კაცი - აი, ხომ ხედავთ.

ოფიციანტი - ეს ადრე რატომ არ შემინიშნავს.

მეორე კაცი - ერთადერთია იმიტომ, რომ ცენტრალურია და ცენტრალურია იმიტომ, რომ ერთადერთია. შეუძლებელია ტოლობის ნიშანი დაისვას მას და დანარჩენებს შორის. ის ორი ერთნაირია ერთიმეორის მი-

მართ, მაგრამ არც ერთი არ არის მესამისნაირი.

ოფიციანტი - *(თავისთვის)* ასეც ვიცოდი, საქმე რომ გართულდებოდა.

მეორე კაცი - ...და ის მაგიდა ერთადერთია, რომელზეც დაგყაბულდებით. ის, ან არც ერთი.

ოფიციანტი - მესმის, მაგრამ გირჩევთ, იქ არ დაჯდეთ.

მეორე კაცი - მე მგონი, ჩემი მოსაზრება გასაგებად გაგაცანით.

ოფიციანტი - სრულიად. მაგრამ ხანდახან გვერდით ჯდომა ჯობია.

მეორე კაცი - არჩევანი ჩემზეა, როგორც თავადაც თქვით.

*მეორე კაცი შუაში მდგარ მაგიდასთან ჯდება.*

ოფიციანტი - როგორც გენებოთ, ოღონდ მე პასუხისმგებლობას ვიხსნი.

მეორე კაცი - მაგას თქვენგან არც არავინ ითხოვს.

*ოფიციანტმა მეორე კაცის წინ ლუდის ბოთლი და კათხა დადო.*

ოფიციანტი - როგორც უკვე შეკვეთილი იყო.

მეორე კაცი - არ მახსოვს, შეკვეთა მომესწროს.

ოფიციანტი - თქვენ კი არა, იმ ბატონმა შეუკვეთა.

მეორე კაცი - თანაც ლუდი?

ოფიციანტი - მაშ, რა მოგართვათ?

მეორე კაცი - შამპანური.

ოფიციანტი - შამპანური?

მეორე კაცი - რატომ გაგიკვირდათ?

ოფიციანტი - ჩვენი კლიენტები შამპანურს იშვიათად უკვეთენ.

მეორე კაცი - მართლა?

ოფიციანტი - უფრო ზუსტად, არც არასოდეს უკვეთენ.

მეორე კაცი - ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ოფიციანტი - ისიც არ ვიცი, შამპანური საერთოდ თუ გვაქვს...

მეორე კაცი - აბა, რა ვქნათ?

ოფიციანტი - გულახდილად რომ გითხრათ, შამპანური არ არის.

მეორე კაცი - თუ არ არის, ეს კიდევ არ არის მიზეზი, რომ არ იყოს ჩემთვის.

ოფიციანტი - რა თქმა უნდა, მიზეზი არ არის.

მეორე კაცი - სულ უმნიშვნელოც კი...

ოფიციანტი - საშუალოც კი არა...

მეორე კაცი - სულ უმნიშვნელო. სულ უმნიშვნელო მიზეზიც კი არ არის.

ოფიციანტი - არც უმნიშვნელო. ახლავე მოგემსახურებით.

*ოფიციანტი მაგიდიდან იღებს გრაფინს, ლანგარზე დგამს, მიდის მარჯვენისაკენ.*

მეორე კაცი - ...და კატაბალახა.

ოფიციანტი - *(ჩერდება)* მაპატიეთ, რა?

მეორე კაცი - კატაბალახას წვეთები, გულის წამალი.



ოფიციანტი - თავს ცუდად გრძნობთ?

მეორე კაცი - თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ალკოჰოლი არ მიხდება.

ოფიციანტი - მაშინ, ეგებ მარტო კატაბალახა მოგიტანოთ?

*მეორე კაცი შებრუნდება და ოფიციანტს შეჰყურებს.*

ოფიციანტი - მესმის, რა თქმა უნდა, შამპანური, კატაბალახა, კალიუმის ციანიდი.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*ავანსცენაზე მდგარი პირველი კაცი საზოგადოებრივ ტელეფონზე და-*
*რეკვის ბოლო ცდას აწარმოებს. ბოლოს ხელს იყოფს ჯიბეში და იქ მონე-*
*ტას ვერ პოულობს, ყურმილს კიდებს და კარატეს ილეთის გამოყენებით*
*ურტყამს აპარატს. ამასთან, საომარ შეძახილს გამოსცემს. შემდეგ შემობ-*
*რუნდება და ხედავს, რომ შუაგულ მაგიდასთან მისი ადგილი მეორე კაცს*
*დაუკავებია.*

*პირველი კაცი ნელი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან და მეორე კაცის პირდაპირ ჩერდება.*

*პირველი კაცი და მეორე კაცი ერთმანეთს უყურებენ.*

*პაუზა*

პირველი კაცი - მაშ, ის - მნიშვნელოვანი პიროვნება თქვენ ხართ?

*მეორე კაცი არ პასუხობს.*

პირველი კაცი - ყოველთვის მინდოდა ვინმე მნიშვნელოვანი პიროვნების დანახვა, მაგრამ დღემდე ვერ მომიხერხებია.

*პაუზა*

პირველი კაცი - ნეტა იმ მხრიდანაც მნიშვნელოვანი ხართ? შეიძლება შემოგხედოთ?

*პირველი კაცი მეორე კაცს ირგვლივ შემოუვლის, პროფილში შეხედავს. მეორე კაცი თავს მისკენ აბრუნებს და შიგ თვალებში შეჰყურებს.*

პირველი კაცი - უკანიდანაც?

*პირველი კაცი მეორე კაცის უკან დგება. მეორე კაცი მისკენ შებრუნდება.*

პირველი კაცი - მეორე მხრიდანაც?

*პირველი კაცი მეორე მხარეს გადაინაცვლებს. მეორე კაცი მისკენ მიბრუნდება და პირდაპირ თვალებში უყურებს.*

პირველი კაცი - მნიშვნელოვანია, ოჰ, როგორ მნიშვნელოვანია. ყოველი მხრიდან მნიშვნელოვანი ხართ.

*მაგიდას ირგვლივ შემოუარა, მაშასადამე, ასევე მეორე კაცსაც და პირველი კაცი მაგიდის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა.*

პირველი კაცი - შეიძლება დავჯდე?

მეორე კაცი - გთხოვთ.

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი, ლანგარზე დაწყობილი შამპანური და ჭიქა შემოაქვს. სიტუაციას რომ შეხედა, შეჩერდა.*

პირველი კაცი - როგორც ხედავთ, სკამი არ მაქვს.

*პირველი კაცი დაბლა იხრება და ხელებით მაგიდას ეყრდნობა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - არადა, ფეხები მტკივა...

*მცირე პაუზა.*

*ოფიციანტი მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდისკენ ისწრაფვის და ორიდან ერთ-ერთ სკამს იღებს.*

*ოფიციანტს სკამი მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდიდან შუაში მდგარი მაგიდისაკენ მიაქვს და პირველ კაცს უდგამს.*

*პირველი კაცი მექანიკურად ჯდება სკამზე ისე, რომ მეორე კაცს თვალს არ აშორებს.*

*ოფიციანტი პირველ კაცსა და მეორე კაცს შორის შამპანურის ბოთლსა და ჭიქას დგამს ლუდის ბოთლისა და კათხის გვერდით.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - *(მეორე კაცს)* მეორე ჭიქაც მოგიტანო?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - საჭირო არ არის. მეორე კათხა მოიტანეთ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ეგებ მეორე კათხა და მეორე ჭიქა...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - გითხარით, საჭირო არ არის.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მესმის.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - მხოლოდ მეორე კათხა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ამ წუთას.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*მეორე კაცი დგება, მაგიდიდან იღებს ლუდის ბოთლს და კათხას, მიდის მარჯვნივ მდგარი მაგიდისაკენ. ლუდის ბოთლსა და კათხას დგამს. შუაგულში მდგარ მაგიდასთან ბრუნდება. ჯდება.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - რაზე ვსაუბრობდით?

*ორივე კაცი ფეხზე ერთდროულად წამოდგება.*

*მათ შორის სცენის შუაგულიდან გამოჩნდება ქალბატონი, ანუ მესამე ქვრივი, აცვია უწინდელივით - შავი გრძელსახელოიანი, გულდახურული გრძელი კაბა, შავ ხელთათმანებიანს თავზე ახურავს შავ-მონაცრისფრო ფრთებით გაწყობილი დიდი შავი შლაპა. შავი პირბადე სახეს მთლიანად უფარავს.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - თქვენ ხართ?

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი და კათხა შემოაქვს. სიტუაციას რომ შეხედა, შედგა, მერე კი მოწიწებით მივიდა ქალბატონთან.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - *(თავი რამდენჯერმე დაუკრა)* მობრძანდით, მობრძანდით ქალბატონო. თქვენთვის, რასაკვირველია, თავისუფალი მაგიდა მოინახება. ერთი წუთით *(და ორივე კაცს)*, აბა, სწრაფად, სწრაფად!

*პირველი კაცი და მეორე კაცი სწრაფად წამოდგებიან. პირველი კაცი მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდისაკენ მიდის. მეორე კაცი მარცხენა მხარეს მდგარი მაგიდისაკენ. ორივე თავთავის მაგიდასთან ჯდება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - *(თავისთვის, მაგრამ ისე, რომ ქალს გულმოდგინებას აჩვენებს)* ახლავე, ახლავე ყველაფერი მზად იქნება...

*ოფიციანტი მაგიდიდან შამპანურის ბოთლსა დაჭიქას იღებს, ლანგარზე აწყობს კათხის გვერდით.*



*ოფიციანტი მარჯვნივ მდგარი მაგიდისაკენ მიდის, შამპანურის ბოთლისა და ჭიქას მეორე ბატონის წინ დგამს.*

*ოფიციანტი კათხაშემოდგმული ლანგრიანად შუაგულში მდგარი მაგიდისაკენ ბრუნდება, ორიდან ერთ-ერთ სკამს იღებს, მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდისაკენ მიდის და დაუდევრად დგამს.*

*ოფიციანტი ყოველივე ამას სირბილითა და გადამეტებული სიბეჯითით აკეთებს და ქალბატონს გულმოდგინედ აჩვენებს, რომ ასე მისთვის ირჯება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მზადაა.

*ოფიციანტი შუაში მდგარი მაგიდისაკენ მიირბენს, სკამის უკან დგება, სკამს მაგიდიდან გასწევს და ქალბატონს დაჯდომაში შველის.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მაქვს პატივი მოგართვათ - ვარდები, მიხაკები, ტიტები, შროშანები...

*ქალბატონი არ პასუხობს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ოჰ, მართლა, რა სულელი ვარ, გთხოვთ მაპატიოთ. ქრიზანთემები, რასაკვირველია.

*წელში მოხრილი ოფიციანტი უკან იხევს. საკმარის მანძილზე რომ აღმოჩნდა, სწორდება და კათხაშემოდგმული ლანგრიანად მარჯვენა მხარეს გადის.*

*ქალბატონს მიშტერებული პირველი კაცი ლუდის ბოთლს უნებლიეთ კბილების ხსნის და პირდაპირ ბოთლიდან სვამს.*

*პირველი კაცი გამოფხიზლდება და ლუდს კათხაში ასხამს.*

*პირველი კაცი კათხიდან სვამს, იმავდროულად ქალბატონს შესცქერის.*

*მარჯვნიდან შემოდის ოფიციანტი, ორივე ხელში უკავია სადგამიანი ვერცხლის ვედრო, შამპანურის დასალევი ბოკალის მოყვანილობის, ოღონდ უჩვეულოდ დიდი ზომისა. მას მაგიდის გვერდით დგამენ და ყინულით ავსებენ შამპანურის ბოთლის ჩასაციებლად.*

*ვედროში ქრიზანთემების ვეებერთელა თაიგული დევს.*

*ოფიციანტი თაიგულიან ვედროს შუა მაგიდის წინ, ანუ ქალბატონის წინ, მაყურებელთა დარბაზის მხარეს დგამს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ.

*ოფიციანტი უკან იხევს და მარჯვნივ მიემართება.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - *(ოფიციანტს)* ტსსსტ...

*ოფიციანტი მეორე ბატონს უახლოვდება.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - კატაბალახა სად არის?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - დამავიწყდა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - *(მაგიდაზე მის წინ მდგარ შამპანურის ბოთლზე მიანიშნებს)* შამპანური უყინულოდ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - სხვა დროს; ხომ ხედავთ, სტუმარი მყავს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - იცნობთ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - როგორ გითხრათ...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - აქ ხშირად შემოდის?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ძალიან ხშირად.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - ძალზე ღირსეული პიროვნებაა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ოჰო-ჰო!..

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - შეგიძლიათ ჩემგან ორიოდ სიტყვა გადასცეთ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არა!

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - შებრუნდება და მიდის.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - ერთი წუთით.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - შედგება.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - კატაბალახა?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ახლავე, მოგიტანთ.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*პირველი კაცი მეორე კაცის ყურადღების მიპყრობას ცდილობს. ხმადაბალ, განუსაზღვრელ, მაგრამ კონკრეტული მნიშვნელობის ბგერას გამოსცემს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ჰე...

*ჩაფიქრებულ მეორე კაცს არაფერი ესმის.*

*პირველი კაცი მოკლედ, მისი აზრით, შეუმჩნევლად დაუსტვენს.*

*მეორე კაცი თითს ბაგეზე მიიდებს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(ხრინწიანი ჩურჩულით ქალისკენ მიუთითებს)* ვინ არის?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - *(ჩურჩულითვე)* ჩუმად!

*პირველი კაცი გადაწყვეტილებას ღებულობს. ლუდს ბოლომდე შესვამს, დგება, სკამს ხელს წამოავლებს და შუაგულში მდგარ მაგიდას უახლოვდება. სკამს ქალბატონისაგან ოდნავ მოშორებით დგამს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - არ გახსოვართ?

*მცირე პაუზა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - მე ვარ...

*პაუზა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ზოო, მაშინ...

*პაუზა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ისა, ზოოპარკი, ნიანგი...

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი, ლანგრით კატაბალახას პაწაწინა ბოთლი შემოაქვს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(ოფიციანტს, როდესაც გვერდით ჩაუვლის)* ლუდი.

*ოფიციანტი მეორე კაცთან მიდის, ლანგრიდან კატაბალახას ბოთლს გადმოიღებს და მეორე კაცს წინ დაუდებს. შემდგომ მარჯვნივ მიდის და ლანგარი თან მიაქვს. პირველი კაცი დგება და სკამს ქალბატონისაკენ ახლოს მისწევს. ისევ ჯდება.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ყველაფერს თავიდან გაგახსენებთ. ეს ასე იყო - ზოოპარკში შევედი. ცხოველებზე არ ვგიჟდები, მაგრამ იქ ამხანაგს უნდა შევხვედროდი. მოგეხსენებათ, რაღაც საქმე გვქონდა გასარკვევი. სა-



უბარი ყველაზე კარგად ზოოპარკში შეიძლება, რადგან ყურადღებას არავინ გაქცევს. ჩემი ამხანაგი ჯერ არსად ჩანდა, ვიფიქრე: ცოტას გავივლი და დავათვალიერებ, თან დაველოდები. ბედი არ გინდა, ზედ ნიანგებთან აღმოვჩნდი. არ გეგონოთ, განგებ, სულაც არა, ეს ისე, დაემთხვა. არადა, ნიანგებთან თვალში არავის ეცემი.

*სანამ პირველი კაცი საუბრობდა, მეორე კაცმა შამპანურის ბოთლი გახსნა და ჭიქა შუამდე შეავსო. მერე კატაბალახას ბოთლი გადააპირქვავა და ჭიქაში ბოლო წვეთამდე ჩაასხა. ნაზავს ნახევრამდე სვამს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ვდგავარ ნიანგების აუზთან და ვხედავ, ერთი, ყველაზე დიდი ნიანგი მომაშტერდა.

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი, ლუდის ბოთლი მოაქვს. ბოთლს პირველ კაცს აწვდის.*

*პირველმა კაცმა ხუფის კბილებით მოძრობა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, ქალბატონის წინ რომ იჯდა.*

*პირველი კაცი ბოთლს ოფიციანტს აწვდის და ანიშნებს, რომ გახსნას.*

*ოფიციანტი ჯიბიდან ხუფების გასახსნელს იღებს, ხსნის ბოთლს და პირველ კაცს აწვდის.*

*პირველი კაცი ბოთლს მოიყუდებს, ხარბად სვამს, თხრობას აგრძელებს და ბოთლიან ხელს მუხლზე აყრდნობს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - როგორც მე მესმის, ზოოპარკი იმისთვისაა, რომ ადამიანებმა უყურონ მხეცებს და არა მხეცებმა - ადამიანებს. არაფერიც. კარგი, მიყუროს. მიყურებს, მიყურებს და მობეზრდება. არაფერიც. გადის წუთი, ხუთი წუთი, ის კი მიყურებს და მიყურებს. მე კი, ჩემო ბატონო, სულაც არ მიყვარს, როცა ასე მიყურებენ.

*პირველმა კაცმა ბოთლიდან ყლუპი მოსვა და ქალბატონისაკენ სკამი კვლავ მიაჩოჩა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - გულზე გავსკდი. რა გინდა, შენი-მეთქი...

*ოფიციანტმა მორიდებით ჩაახველა და ქალბატონზე მიანიშნა.*

*პირველი კაცი მიხვდა, რომ ქალბატონის თანდასწრებით ბილწსიტყვაობა დაუშვებელი იყო.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ვეუბნები, შენი...

*ოფიციანტი მკვეთრად ახველებს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(ოფიციანტს)* ჰო, კარგი, კარგი რა *(ქალბატონს)* ვეუბნები, რა გინდა... ხომ გესმით... ის კი მიყურებს. როგორ გგონიათ, მომაცილა მზერა?! არაფერი შეგეშალოთ.

*ამასობაში მეორე კაცი, ჭიქით ხელში, ნება-ნება უახლოვდება ლაპარაკში გართულ პირველ კაცს.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ჰოდა, ველარ მოვითმინე. წყალში ჩავხტი და სიფათში ჩავაფრინდი *(ბოთლს სკამის გვერდით იატაკზე დებს და ფეხზე დგება)* აი, ასე!

*პირველი კაცი ნიანგთან თავისი შებრძოლების დემონსტრირებას ახდენს.*

პირველი კაცი - ერთი ხელი ქვედა ყბაში წავავლე, მეორე - ზედა ყბაში და გავწიე და გავწიე...

ოფიციანტი - გასწიეთ?

პირველი კაცი - რა თქმა უნდა. ძალიან გამიჭირდა, რადგან ნიანგს მაგარი, უშველებელი პირი აქვს. მაგრამ არ მოვეშვი, სანამ, ტრააახ, არ დაიძახა...

*ოფიციანტმა თვალებზე ხელისგულები აიფარა.*

პირველი კაცი - ორად გავხლიჩე ის საძაგლობა და სულიც გავაფრთხობინე. ამაზე რას იტყვით?

ოფიციანტი - ფანტასტიურია. მერე ცხოველი არ შეგეცოდათ?

პირველი კაცი - შემეცოდა, მაგრამ რას მიყურებდა?

ოფიციანტი - ეგებ მოეწონეთ?

პირველი კაცი - თუ მოვეწონე, მოშტერება აუცილებელი არ იყო.

*პირველი კაცი ჯდება, უფრო სწორად, იატაკზე ეცემა, რამდენადაც, ზურგს უკან მდგარმა მეორე კაცმა მისი სკამი აიღო.*

*მეორე კაცი იმ სკამზე ჯდება და ფეხზე ფეხს შემოიდებს. ცალ ხელში ჭიქა უკავია, მეორით მუხლიდან მტვერს იფერთხს.*

მეორე კაცი - შემდეგ რა მოხდა?

*პირველი კაცი ერთხანს განცვიფრებული ზის იატაკზე, მერე დგება და ნება-ნება მიდის მარცხენა მხარეს. ერთხანს ზურგშექცევით დგას. მერე ანაზდად შემობრუნდება და მეორე კაცს ეცემა.*

*მეორე კაცი დგება და ჭიქას ნაჩქარევად გაუწვდის.*

მეორე კაცი - თუ შეიძლება...

*პირველი კაცი ჩერდება.*

მეორე კაცი - ...დამიკავეთ.

*პირველი კაცი მეორე კაცს ჭიქას ჩამოართმევს. ხელში უკავია. მეორე კაცი ჟილეტის ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცს იღებს, ტუჩებზე მიიდებს და გულმოდგინედ ჩაიდებს ჯიბეში.*

მეორე კაცი - ამას ყოველივეს ქალბატონთან რა კავშირი აქვს?

პირველი კაცი - იქ იყო.

მეორე კაცი - სად?

პირველი კაცი - ნიანგების აუზის მეორე მხარეს. სულ იქ იყო.

მეორე კაცი - თუ იქ იყო, გამოდის, მთელი თქვენი გმირობა საკუთარი თვალით უნახავს. შეხსენებას რა აზრი აქვს.

პირველი კაცი - ეგებ არ ვახსოვარ.

მეორე კაცი - ასეთ გმირებს არ ივიწყებენ.

პირველი კაცი - მაშ, რატომ არაფერს ამბობს?

მეორე კაცი - ეტყობა, სათქმელი არაფერი აქვს. თავს ნუ აბეზრებ.

*მეორე კაცი ჭიქას გამოართმევს პირველ კაცს.*

მეორე კაცი - გმადლობთ. სულ ეს იყო.

*მოლუშული პირველი კაცი ლუდის ბოთლს იღებს იატაკიდან და მარცხნივ გადის.*



პირველი კაცი - *(ნაღვლიანად, ბავშვურად)* თუ არ ახსოვს?

*მეორე კაცი მას ენერგიულად უახლოვდება. პირველი კაცი ბოთლიდან ყლუპს მოსვამს, სცენის სიღრმეში უჩინარდება და არენას მეორე კაცს უთმობს.*

მეორე კაცი - შესაძლოა გახსოვთ ეს ველური ინციდენტი, რომელიც ახლა შეგახსენეს. მაგრამ არა მგონია, მე გახსოვდეთ.

*ქალბატონი დუმს.*

მეორე კაცი - ჩვენი შეხვედრა ნაკლებად დრამატულ გარემოებაში მოხდა. შეიძლება ითქვას, სულაც არადრამატულში.

*მეორე კაცი კატაბალახიანი შამპანურის ყლუპს მოსვამს და მხოლოდ მისთვის რეალურ სცენას იხსენებს.*

მეორე კაცი - თუმც, ის ამბავიც ზოოპარკში მოხდა, მაგრამ არა ნიანგების თანდასწრებით. იქ მარტოობის ძიებამ მიმიყვანა, რამდენადაც განმარტოება იქ ყველაზე იოლია. ზოოპარკში ხომ ყურადღებას მხოლოდ ცხოველებსა და მხეცებს აქცევენ და არა ადამიანებს. ყოველი შემთხვევისათვის სკამი ყველასგან განმარტოებით, შორეულ ხეივანში შევარჩიე.

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის.*

ოფიციანტი - *(ქალბატონისკენ)* გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ...

მეორე კაცი - *(ოფიციანტს, კატეგორიულად)* ერთი წუთით.

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

მეორე კაცი - წინ ვიყურებოდი, მიწისაკენ, ირგვლივ არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან ჩაფიქრებული ვიყავი, უფრო კი მოწყენილი. მელანქოლია ხშირად მიპყრობს.

პირველი კაცი - *(თავისთვის)* ვახსოვარ თუ არ ვახსოვარ.

მეორე კაცი - ამიტომაც ჩიტი უმალვე ვერ შევნიშნე. ჩიტზე უფრო ბუნებრივი რა უნდა იყოს ტყე-პარკში, ანუ ზოოპარკში. მაგრამ ის ჩიტი მკვდარი იყო. უფრო მეტიც, პირდაპირ ჩემს წინ, მიწაზე იდო.

*მეორე კაცი მარცხენა მაგიდასთან მდგარ სკამზე ჯდება.*

მეორე კაცი - აი, აქ.

*მცირე პაუზა. მეორე კაცი მიწაში ჩასცქერის.*

მეორე კაცი - არც ჰაერში, არც ტოტზე, არც ბალახებში. მიწაზე. და სრულიად გაუნძრევლად, ჩიტებისთვის უჩვეულო პოზაში იდო. მოლურჯო-ფოლადისფერი ფრთები და ნარინჯისფერი მკერდი ჰქონდა. ხასხასა, ჯერაც ხასხასა ფერები...

*პაუზა.*

მეორე კაცი - გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ის ჩიტი, უკვე მკვდარი ჩიტი ზოოპარკის არც ერთი გალიის ბინადარი არ იყო; იგი თავისუფალი ჩიტი იყო. თუმცა ახლა ამ სხვაობას აღარანაირი აზრი არ ჰქონდა.

*პაუზა.*

მეორე კაცი - თავი ავწიე და ხეივნის მეორე მხარეს, სკამზე *(მეორე კაცი ქალბატონისკენ ბრუნდება და შეჰყურებს)* თქვენ დაგინახეთ.

*მცირე პაუზა.*

მეორე კაცი - გამიხსენეთ?

*ამასობაში პირველი კაცი სცენის სიღრმიდან მარჯვენა მხარეს გამოდის და ქალბატონის მარცხენა მხარეს გაირინდება.*

პირველი კაცი - *(ქალბატონს)* კარგი, რაც არის არის, იმ ნიანგზე ზედმეტი წამოვროშე. მაგრამ რაც მართალია, მართალია, მისი მოკვლა ნამდვილად მომინდა. სიმართლეს გეუბნებით - მომინდა.

მეორე კაცი - *(დგება)* ისევ თქვენსას არ იშლით?

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი, ხელში ცარიელი ლანგარი უკავია.*

ოფიციანტი - *(მეორე კაცს)* ახლა ხომ შეიძლება?

*მეორე კაცი ოფიციანტს ზურგს შეაქცევს.*

ოფიციანტი - *(ქალბატონს)* მაპატიეთ ქალბატონო, მაგრამ აქ ბანკეტის შეკვეთა გვაქვს. დიდი ჯგუფია.

პირველი კაცი - მომინდა, ნამდვილად მინდა...

ოფიციანტი - ძალიან გთხოვთ, დარბაზის გაწყობის ნება დამრთოთ.

*პაუზა.*

*პირველი კაცი და მეორე კაცი ქალბატონისკენ მიბრუნდებიან და მის პასუხს ელოდებიან. წელში მოხრილი ოფიციანტიც მოლოდინშია.*

*პაუზა.*

*ქალბატონი თანხმობის ნიშნად თავს მძიმედ დაუკრავს.*

ოფიციანტი - გმადლობთ! უმორჩილესად გმადლობთ!

*ოფიციანტი მარჯვნივ მდგარ მაგიდასთან მიირბენს. ლანგარზე აწყობს ლუდის ორ ცარიელ ბოთლსა და კათხას, რომლებიც იმ მაგიდაზე ეწყო. მიდის მარცხნივ, მარცხენა მხარეს მდგარი მაგიდიდან იღებს შამპანურის ბოთლს და კატაბალახას წვეთების ბოთლს და ლანგარზე აწყობს. მეორე კაცი ლანგარზე დებს ჭიქას, რომელიც აქამდე ხელში ეკავა. ოფიციანტი მეორე კაცს აძლევს ლანგარს დასაჭერად, მიაქვს მაგიდა მარცხენა მხრიდან და შუაგულში მაგიდასთან დგამს ქალბატონის მარჯვენა ხელთან. ბრუნდება მარცხნისკენ, მიაქვს ორიდან ერთ-ერთი სკამი და მაგიდასთან დგამს იმასაც ქალბატონის მარჯვენა ხელთან.*

*შემდგომ მიაქვს მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდა და შუაგულში მდგარ მაგიდასთან ქალბატონის მარცხენა ხელის მხარეს დგამს.*

*ერთმანეთზე მიწყობილი სამი მაგიდა ერთ გრძელ მაგიდას დაემსგავსა.*

*შუაგულში მდგარ მაგიდასთან მარჯვენა მხარეს დაწყობილ სკამებს ოფიციანტი მაგიდასთან ქალბატონის მარცხენა ხელის მხარეს აწყობს.*

*ოფიციანტი მეორე კაცს ლანგარს ჩამოართმევს და მარჯვნივ გადის.*

*პირველი კაცი და მეორე მარჯვნივ და მარცხნივ მიდიან, მაგიდის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დადგმულ სკამებზე სხდებიან.*

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის, შავი ბარხატის რულონი შემოაქვს.*

*ოფიციანტი რულონს მაგიდის კიდეზე დებს და მარჯვენა მხრიდან მარცხენა მხრისაკენ შლის. შავი ნაჭერი მაგიდის საფარებელი აღმოჩნდა.*



*მაყურებელთა დარბაზიდან საფარებელი მაგიდას მთელ სიგრძეზე ფარავს.*

*ფუსფუსს მორჩენილი ოფიციანტი ორივე კაცს მიმართავს.*

ოფიციანტი - ბატონებო...

*ორივე კაცი დგება.*

ოფიციანტი - გთხოვთ!

*და ფართოდ ხელგაშლილი ორივეს მაგიდასთან იწვევს.*

*პირველი კაცი და მეორე მაგიდასთან სხდებიან. პირველი კაცი ქალბატონის მარცხენა ხელთან, მეორე კაცი - მარჯვენასთან.*

*ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

*პაუზა.*

მეორე კაცი - *(თავისთვის, ისე, რომ ქალბატონს არ უყურებს)* ყოველთვის ვიცოდი, რომ ოდესმე ერთმანეთს შევხვდებოდით.

*ქალბატონი არ პასუხობს.*

*მარჯვენა მხრიდან შემოდის ოფიციანტი და ორი შანდალი შემოაქვს.*

პირველი კაცი - *(ოფიციანტს)* ლუდი!

ოფიციანტი - აღარ ვემსახურებით.

*ოფიციანტი შანდალს პირველი კაცის წინ დგამს. ჯიბიდან ასანთს იღებს და სანთელს ანთებს. მეორე სანთელს მეორე კაცის წინ დებს და მასაც ანთებს.*

*სცენაზე შუქი მქრალდება ისე, რომ არ დაიკარგოს სანთლების ბუნებრივი შუქი. ოფიციანტი მარჯვნივ გადის.*

მეორე კაცი - რასაკვირველია, არ ვიცოდი, სად ან როდის. მაგრამ ვიცოდი, რომ უეჭველად შევხვდებოდით. ამიტომაც არ მიძებნიხართ. ამ ჩემმა თავდაჯერებულობამ იქამდე მიმიყვანა, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ დაგინახეთ, სამოგზაუროდ აღარ წავსულვარ. ვიცოდი, არ უნდა წავსულიყავი, რამდენადაც ადრე თუ გვიან, აქ თუ სხვაგან სადმე, კვლავ შევხვდებოდით - და მაშინ...

*პაუზა.*

მეორე კაცი - ეგებ მაშინ ჩვენი შეხვედრა ისე წამიერი აღარ იქნებოდა.

*პაუზა.*

მეორე კაცი - *(ქალბატონისკენ მიბრუნებული)* თქვენ რას იტყვით?

*ქალბატონს არ უპასუხია.*

პირველი კაცი - მე კი თქვენ ცოლად გირთავთ!

მეორე კაცი - ამას კიდევ ვნახავთ.

პირველი კაცი - გარწმუნებთ შეგირთავთ! ქვრივი ხართ, ასე რომ, წინააღმდეგობა არ შეგვხვდება. ნაღვლიანი ხართ, მაგრამ მე გაგამხიარულებთ. სიცოცხლეს რა ჯობია! მამაკაცის ხელი გაკლიათ, ეგაა და ეგ. ნახავთ, ჩემთან ყველაფერი რა კარგად აეწყობა. თქვენსავე ქორწილზე ცეკვა კიდევ მოგიწევთ! ო! შენი დე...

*პაუზა.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - რა დაგეტაკა?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - დამავიწყდა, რომ უკვე ცოლიანი ვარ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - არა მარტო თქვენ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - ეგ არაფერი, გავეყრები. ახლავე დავურეკავ ჩემს ცოლს...

*პაუზა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - თუმცა, რა საჭიროა, წელან ხომ დავურეკე. მართალია სხვა საქმეზე, მაგრამ მაინც. ორი წელია, შინ არ ვყოფილვარ, ცოტა ვიმოგზაურე, უმეტესწილად ზღვით. სწორედ დღეს დავბრუნდი და მინდოდა მეთქვა, რომ უკვე დავბრუნდი, რათა ჩემთვის ორი ყუთი ლუდი ეყიდა საღამოსათვის, როცა შინ მივიდოდი. მაგრამ ახლა რაღა!..

*პირველი კაცი ჯიბეში იყოფს ხელს.*

*პაუზა.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(გაწბილებული)* ხურდა აღარ მაქვს.

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის. მაგიდისა და სტუმრებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, პირდაპირ სცენის შუაგულისაკენ მიდის.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(ოფიციანტს)* ხურდა გაქვთ?

*ოფიციანტი ჩერდება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - დაგიხურდავოთ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - არა, ტელეფონისთვის მასესხეთ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არ მაქვს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - მაშ, რა ვქნა?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არაფერი. ჩვენი ტელეფონი არ მუშაობს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - *(სიხარულით)* მაგას რა ჯობია.

*ოფიციანტი რამპასთან მიდის. სახე მაყურებელთა დარბაზისკენ მიუქცევია.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ნიანგები, ჩიტები... იტყვიან, რაღა მაგათ ჰგონიათ, ზოოპარკში მარტო ეგენი იყვნენ. მე კი არა?

*მცირე პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მეც ვიყავი, მაგრამ არა ნაღველის გასაქარვებლად. *(ცერა თითს მეორე კაცისკენ დამცინავი ღიმილით იშვერს)* მელანქოლიკი.

*მცირე პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არც იმ მეორე ტიპივით ჰეროინით სავაჭროდ წავსულვარ. ზოოპარკში იმიტომ წავედი, რომ მხეცები მიყვარს.

*მცირე პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ყველაზე მეტად კი მაიმუნები მიყვარს.

*ოფიციანტი მარცხნივ მდგარი სკამისკენ მიდის, რამპის შუაგულთან დგამს, ზედ ადის, ჩაყუნცდება, მუხლებს გაშლის, მხრებს დაბლა დახრის, იდაყვებს მუხლებზე აწყობს, მკლავებს თავისუფლად ჩამოუშვებს. ყველა შუქი ქრება, მაგიდაზე ანთებული სანთლების გარდა. წერტილოვანი*



*შუქი ოფიციანტს ეცემა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - რატომ მაინცდამაინც მაიმუნები? იმიტომ, რომ მათი ყურება მიყვარს. ჯანმრთელობისთვის. მე ხომ იძულებული ვარ, ყოველდღე ადამიანებს ვუყურო.

*მცირე პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - იძულებული ვარ ყოველდღე რვა საათი ვუყურო, როგორ სხედან და ჭამენ.

*ოფიციანტი ხელისგულებს იფარებს თვალებზე და ერთხანს ასე ზის.*

*პაუზა.*

*ოფიციანტი თვალებიდან ხელებს მოიცილებს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - გარდა თავისუფალი დღისა. ჰოდა, მაშინ ზოოპარკში მივდივარ.

*მცირე პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - მიყვარს იმის ყურება, როგორ ჭამენ მაიმუნები ბანანს.

*ოფიციანტი გვერდითა ჯიბიდან ბანანს ამოიღებს. ხილს ნაზად და ამაყად ფცქვნის. ბანანის ქერქი ზღვის ვარსკვლავის ფორმას ღებულობს, ბანანს შეჭამს, ქერქს კი სადღაც მარცხნისაკენ, ანუ სიბნელისაკენ აგდებს.*

*წელში სწორდება, სკამიდან ჩამოდის. სახით მაყურებლისაკენ ბრუნდება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - აი, სულ ესაა.

*მიაქვს სკამი და მარჯვნივ გადის.*

*შუქი მთელს სცენაზე.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - რამეს შევჭამდი. თქვენ?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - ნეტა სისულელეს მოეშვებოდეთ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - შეკითხვაც აღარ შეიძლება?

*სცენიდან ისმის მუსიკა. ფორტეპიანო, ვიოლინო, კონტრაბასი და დასარტყამი (ფუნჯები) ინსტრუმენტები. ნიმუშად გამოდგება მელოდია, ინსტრუმენტირება და რიტმი სიმღერისა "რევანში", რომელსაც მღეროდა 40-იანი წლების მექსიკელი მომღერალი ავგუსტინა ლიარა, რიტმი - "ბოლერო". ავტორი რეჟისორს თავს არ ახვევს კონკრეტულ მუსიკალურ ნაწარმოებს. ერთი და იგივე მელოდია შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად ჟღერდეს ორანჟირებისა და შესრულების მანერის შესაბამისად. აქ მონიშნულია მხოლოდ სტილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს. კერძოდ: მუსიკა დელიკატურია, მგრძნობიარე, მკვეთრი რიტმით - ცეკვისათვის - ჩიქ-თუ-ჩიქ, "ფაიფ-ო-კლოკ"-ის სტილში. ტემპი სლოუ-ფოქსიდან (მკვეთრი რიტმიზაცია) დელიკატურ ჩა-ჩა-ჩა-მდე (იმ პირობით, რომ ცეკვა იქნება თავშეკავებული, ზედმეტი ხლართების გარეშე).*

*გამორიცხულია: ზედმეტი მელოდიურობა, სენტიმენტალობა, ყველანაირი ექსტრავაგანტულობა.*

*ავტორის რჩევაა, გამოყენებულ იქნეს უკვე კლასიკური ნაწარმოები,*

*დროის მიერ უკვე გამოცდილი ე.წ. "ჰიტი" და არა სპეციალურად თეატრისათვის შექმნილი მუსიკა.*

*მეორე კაცი ფეხზე დგება და ქალბატონისკენ ბრუნდება. თავს დაუკრავს.*

მეორე კაცი - ნება მომეცით, მოგიწვიოთ!

*ქალბატონი დგება, მარჯვენა ხელს ასწევს და ხელისგულს გაუწვდის მეორე კაცი მარცხენას ასწევს და მის ხელისგულს შეუშვერს.*

*პირველი კაცი დგება და ისევ ჯდება.*

*მეორე კაცი და ქალბატონი მაგიდას შორდებიან და მარცხნივ გადიან.*

*მეორე კაცს ქალბატონი სცენის შუაგულისკენ მიჰყავს.*

*მანძილს იცავს, დაძაბულია. მეორე კაცი ქალბატონს წელზე ჰკიდებს ხელს. ქალბატონი მარჯვენა ხელს მხარზე დაადებს.*

*მეორე კაცი და ქალბატონი ცეკვავენ. მათ შორის არსებული მანძილი და ერთგვარი დაძაბულობა მუსიკის მგრძნობელობის, ინტიმურობის კვალდაკვალ იცვლება.*

*მარჯვენა მხრიდან ოფიციანტი შემოდის.*

ოფიციანტი - ხმაურისათვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ ორკესტრმა უკვე რეპეტიცია დაიწყო...

*ოფიციანტმა მოცეკვავე წყვილი შენიშნა.*

ოფიციანტი - *(თავისთვის)* უკვე გვიანია.

*პირველი კაცი დგება.*

პირველი კაცი - არ შეუძლიათ მოიცადონ?

ოფიციანტი - ხომ გაგაფრთხილეთ, რომ დარბაზი დაქირავებულია.

*პირველ კაცს ხელი ჯიბისკენ მიაქვს.*

პირველი კაცი - ფულს დავუბრუნებ.

*მცირე პაუზა.*

პირველი კაცი - წვრილი ფული არ მაქვს.

*ოფიციანტი მარჯვნისკენ მიდის.*

*პირველი კაცი მაგიდას სცილდება. მიდის მარჯვნივ, კედელს ეყრდნობა, მოცეკვავეებს უყურებს.*

*ქალბატონი პარტნიორს, ანუ მეორე კაცს ხელს უშვებს და პირველ კაცს უახლოვდება.*

*მეორე კაცი მარტო რჩება.*

პირველი კაცი - *(ეჭვიანად)* მე?

*ქალი ხელს მისკენ იწვდის.*

პირველი კაცი - *(ურწმუნოდ)* ჩემთან?

*ქალი ხელის დაქნევით იწვევს.*

*პირველი კაცი კედელს სცილდება და მარჯვენა ხელს ქალბატონს წელზე შემოხვევს. ქალბატონი მარჯვენა ხელს მხარზე დაადებს.*

*ქალბატონი და პირველი კაცი ცეკვავენ.*

*ქალბატონისგან მიტოვებული მეორე კაცი მარცხენა კედლისაკენ მიდის. კედელთან დგება და მოცეკვავეებს გაჰყურებს.*



*ცოტა ხნის შემდეგ მეორე კაცი კედელს მოწყდება, მოცეკვავეებთან მივა და პირველ კაცს მხარზე შეეხება.*

პირველი კაცი - არ მცალია.

*მეორე კაცი კედელთან ბრუნდება.*

*ცოტა ხნის შემდეგ მეორე კაცი კედელს მოწყდება და მოცეკვავეებთან მიდის. ქალბატონს წელზე შემოხვეულ პირველი კაცის ხელს შემოაცლის და ქალბატონს მარჯვენა ხელს შემოაჭდობს.*

*მეორე კაცი და ქალბატონი ცეკვავენ.*

*პირველი კაცი მეორე კაცს კისერში ჩააფრინდება, მოიქნევს და ძირს დაანარცხებს.*

*მეორე კაცი გადაბრუნდება.*

*პირველი კაცი მეორე კაცს ზემოდან გადააჯდება და ხელებს ყელზე შემოაჭდობს.*

*მუსიკა წყდება.*

*ქალბატონი სცენის შუაგულისკენ მიდის. უკან ბრუნდება. გაუნძრევლად დგას.*

*პირველმა კაცმა მუშტი დასარტყმელად აღმართა. ამასთან, უკანალი მაღლა ასწია და მეორე კაცმა თითქმის ამოისუნთქა.*

*მეორე კაცის ყელზე მოჭერილი პირველი კაცის ხელები თანდათან სუსტდება, რამდენადაც პირველი კაცის მხრები დაჭიმულია.*

*აღმართული პირველი კაცის სხეულის სიმძიმე ახლა მხოლოდ მარცხენა მუხლზეა გადატანილი, მარჯვენა ოდნავ ეხება იატაკს.*

*მეორე კაცი კისერზე ჩაფრენილი პირველი კაცის ხელს თავის ხელებს უჭერს, თავს ითავისუფლებს. იმავდროულად იგი მარცხნივ გადატრიალდება პირველი კაცის მუხლქვეშ, იგი წონასწორობას კარგავს და მარცხნივ იხრება.*

*მეორე კაცი გამოსხლტება პირველი კაცის ქვეშიდან და გორაობით სცილდება მას.*

*პირველი კაცი და მეორე კაცი ერთდროულად წამოხტებიან და ფეხზე დგებიან.*

მეორე კაცი - კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ ასე არა.

პირველი კაცი - *(უახლოვდება, მრისხანედ)* ასე არა? ასე არა?

მეორე კაცი - ოფიციანტო! აუუუ!

*გამოსცემს ინდიელების თუ ტარზანის ხმას, რომლითაც იგი საშველად უხმობდა მხეცებს.*

*ოფიციანტი იმწამსვე ჩნდება მარჯვენა მხრიდან. ორივე ხელში გადაჯვარედინებული დაშნები უკავია.*

ოფიციანტი - აქ ვარ, ბატონებო!

მეორე კაცი - ჩემკენ!

*ოფიციანტი ახლოს მიდის და დარბაზისკენ მიბრუნებულ პირველ კაცსა და მეორე კაცს შორის ჩერდება.*

*მეორე კაცი ოფიციანტთან მიდის მარცხენა მხრიდან და მისი მარჯვე-*

*ნა ხელიდან ართმევს დაშნას.*

*ოფიციანტი მარჯვენა ხელს დაბლა დაუშვებს, მარცხენა ისევ აწეული აქვს.*

*მეორე კაცი მარცხნისაკენ გადის და დაშნას მოსინჯავს. ჰაერს შხუილით გაკვეთს და რთულ ილეთს შეასრულებს და ა.შ.*

*პირველი კაცი ოფიციანტთან მიდის მარჯვენა მხრიდან და მისი მარცხენა ხელიდან მეორე დაშნას იღებს. ოფიციანტი მარცხენა ხელს დაბლა დაუშვებს.*

*პირველი კაცი მარჯვნივ გადის. დაშნა მოუხერხებლად, დაბლა დაწეული უკავია.*

*პირველი კაცი და მეორე ერთმანეთის პირისპირ დგანან.*

*კვლავ მაყურებელთა დარბაზისკენ მიბრუნებული ოფიციანტი რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს.*

*სცენის შუაგული ბნელდება, ავანსცენა გაჩახჩახებულია. ქალბატონი უკან იხევს, სცენის სიღრმეში უჩინარდება.*

*მეორე კაცი მოფარიკავის პირველ პოზიციაში დგას.*

*პირველ კაცს დაშნა დაბლა დაუშვია.*

*მცირე პაუზა.*

*მეორე კაცი უტევს.*

*მეორე კაცი ვერ უძლებს პირველი კაცის დარტყმის ძალას. იძულებულია დაცვაზე გადავიდეს და უკან დაიხიოს.*

*პირველი კაცის მორიგი დარტყმა ხელიდან დაშნას გააგდებინებს.*

*დაშნის ხელში აღების ნაცვლად მეორე კაცი გაუნძრევლად დგას პირველი კაცის წინ.*

*პირველი კაცი დაშნას დაუშვებს, მიბრუნდება, მარჯვნისკენ მიდის, უკან მობრუნდება და ამაყი მოძრაობით ანიშნებს მეორე კაცს, დაშნა აიღე იატაკიდანო.*

*მეორე კაცი შებრუნდება, მარცხნივ წავა, მობრუნდება და ხელებს გაშლის.*

*პირველი კაცი ადგილიდან არ იძვრის.*

წელანდელი მუსიკა ისმის.

*პირველი კაცი დაშნას აღმართავს და სისხლმოწყურებულის გაბმული კივილით მიდის მეორე კაცისკენ.*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ - აახხხტრიხ!

*პირველ კაცს დაშნა გაუწვდია, მეორე კაცისთვის შიგ გულში დაუმიზნებია და წინ მიისწრაფვის.*

*ის იყო მეორე კაცამდე მიაღწია, პირველი კაცი ძირს მოცელილივით ეცემა, თავს იატაკს ურტყამს, გაუნძრევლად წევს.*

*პირველი კაცის ველური შეძახილი და მუსიკა ერთდროულად წყდება. პაუზა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ჩანს, ფეხი აუსრიალდა.

*მეორე კაცი გაუნძრევლად მწოლიარე პირველ კაცს უახლოვდება. ჩა-*



*იმუხლებს და თავს ორივე ხელით ჩამოუწევს.*

*პაუზა.*

*მეორე კაცი პირველი კაცს თავს დაუშვებს და დგება.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - მოკვდა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ხომ გავაფრთხილე.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - თქვენ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ვუთხარი, მეორე მაგიდასთან დამჯდარიყო.

*მეორე კაცი დაბლა იხრება და იატაკიდან ბანანის ქერქს იღებს.*

*მაგიდასთან მდგარი შუა სკამი ცარიელია.*

*მაგიდასთან მიდის და ცარიელი სკამის წინ ჩერდება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - უკვე წავიდა...

*სახით დარბაზის.კენ შებრუნდება.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ვინ იცის, აღარც დაბრუნდეს.

*ერთ სანთელს იღებს, მერე მეორეს. დაბალ იხრება ქრიზანთემების თაიგულის ასაღებად. ანაზდად შეშდება კვლავ ძირს დახრილი, თაიგულით ხელში.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არ დაბრუნდეს?

*წელში სწორდება, თაიგული ხელში უკავია და დარბაზს უყურებს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ყოველთვის ბრუნდება!

*ქრიზანთემებიან ვედროს სწრაფად დგამს ისევ იქ, სადაც იდგა.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - სულელი კი არ ვარ! აქ ერთ წუთსაც აღარ დავრჩები!

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - ეს რა არის?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ბანანის ქერქი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - აქ საიდან გაჩნდა?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - არ ვიცი. ჩანს ვიღაცამ დააგდო და აღარ აიღო.

*მეორე კაცი ბანანის ქერქს მოისვრის და პირველი კაცის ცხედართან დადგება.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - საცოდავი ხეპრე. იარაღი უნდა ყოფილიყავი, არადა გახდი...

*მცირე პაუზა.*

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - რაც გახდი და არ გახდი, ჩემი ადგილი დაიკავე, სულელო.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - გარდაცვლილს ნუ დასცინით. თუმცა ხურდა ფული მართლა არ ჰქონდა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - *(პირველი კაცის ცხედართან)* გმირულად უნდა დაღუპულიყავი, მაგრამ შენი ბედისწერა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. შემთხვევით და ისიც სასაცილოდ დაიღუპე, რამეთუ თავად იყავი შემთხვევითი და სასაცილო.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - თქვენ?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲪᲘ - სამწუხაროდ, მე ისევ ცოცხალი ვარ.

*ოფიციანტი პირველი კაცის ცხედრის აწევას ცდილობს.*

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ - ამას რამე უნდა მოვუხერხოთ, მაგრამ ძალიან მძიმეა.

ეგებ მომეხმაროთ.

*მეორე კაცი დაიხრება და პირველ კაცს ფეხებში კიდებს ხელს. ოფიციანტი და მეორე კაცი პირველი კაცის ცხედარს მაღლა აწევენ.*

*მეორე კაცი პირველი კაცის ფეხებს დაბლა დაუშვებს და ხელს გულზე წაივლებს, თან პირს ფართოდ აღებს. ბარბაცებს.*

ოფიციანტი - ახლა ეს?!

*მეორე კაცი იატაკზე ჩაიკეცება. გაუნძრევლად წევს.*

*ოფიციანტი პირველ კაცს იატაკზე აწვენს და მეორე კაცის წინ იხრება. ყურს გულზე ადებს.*

ოფიციანტი - შამპანური და კატაბალახა. აქ ბავშვი რომ ყოფილიყო, ვეტყოდი - უყურე პატარავ და ცუდ მაგალითზე ჭკუა ისწავლე. ღვინის და წამლის ერთდროულად დალევა არ შეიძლება.

*ოფიციანტი ფეხზე წამოდგება. მეორე კაცის ცხედარს დაჰყურებს.*

ოფიციანტი - როგორ ვთხოვე, იქ არ დამჯდარიყო, სადაც არ შეიძლებოდა.

*ირგვლივ მიმოიხედავს.*

ოფიციანტი - *(გახარებული)* - წასულა!

*მარჯვნისკენ მიდის. წელანდელი მუსიკა გაისმის. ოფიციანტი ჩერდება. მარცხენა მხრიდან ქალბატონი შემოდის. ოფიციანტი ნელ-ნელა ტრიალდება მისკენ. ქალბატონი ხელებს გაუწვდის. ოფიციანტი თავს მდაბლად დაუკრავს.*

**დასასრული.**